

# შიდა ქართლის გუბერნატორმა ლიეტუვის ელჩს უმასპინძლა

26 სექტემბერი 2018

გიორგი ხოჯევანიშვილი ლიეტუვას საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში - გიედრიუს პუოჯუნასს შეხვდა. ელჩმა გუბერნატორს ხაშურში, ყოფილი აგურის ქარხნის ტერიტორიაზე რეკრეაციული ზონის მონყობის პროექტი გააცნო, რომელსაც საქართველოსა და ლიეტუვის მხარე ერთობლივად ახორციელებს. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ატრაქციონების, ველობილიკებისა და სკულპტურული ნამუშევრების განთავსება. ასევე, იფუნქციონირებს კაფეები. „მოხარული ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლობა ისეთ მიზანს ემსახურება, რომელსაც ეკო-სისტემის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა ჰქვია. პროექტი ნამდვილად საჭირო და მნიშვნელოვანია ხაშურის მაცხოვრებლებისთვის. ვიმედოვნებ, მალე შევიკრიბებით ახალი პარკის პრეზენტაციაზე“ - აღნიშნა რწმუნებულმა.

სამომავლოდ, პარკს რეკრეაციული სივრცის სტატუსი მიენიჭება. პროექტი ორმხრივი მემორანდუმის ფარგლებში მიმდინარეობს.